საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მნიშვნელობა საქართველოს განვითარებისთვის

ქეთი დორეული
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: keti_doreuli@yahoo.com
ქეთი შონია
აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის მასწავლებელი

რეზიუმე

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ეკონომიკური, ფინანსური ურთიერთობა, ვინაიდან საქართველო მიეკუთნება გარდამავალ ეკონომიკათა რიცხვს. გარდამავალ ქვეყანაში კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია. პოლიტიკური სტაბილურობა არსებითია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისთვის, რომლებიც ინვესტიციებსა თუ კრედიტებს გამოყოფენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

სტატიაში არის განხილული კავშირი უცხოურ საფინანსო ინსტიტუტებსა და საქართველოს შორის.

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საერთაშორისო ეკონომიკური, საფინანსო ურთიერთობები.

საქართველოს შეუძლია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ცნობილ პრინციპებზე დაყრდნობით (სამეურნეო თანამშრომლობა, ეკონომიკასა და ვაჭრობის თავისუფლება, ფულად–საკრედიტო ურთიერთობათა სრულყოფა) მიაღწიოს ეკონომიკის აღმავლობას და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. საქართველოს ბაზარს ესაჭიროება გრძელვადიანი ფინანსური რესურსები და შესაბამისად მსგავსი რესურსების მოძიება შეიძლება მხოლოდ განვითარების ბანკებიდან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვნად მივიჩნიე განმეხილა საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობები. იმისათვის, რომ ქვეყანაში უზრუნველყოფილი იყოს საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი, რომელიც დაკავშირებულია თანამშრომლობისა და ეკონომიკური ქცევის თავისუფლებასთან, შეძლებისდაგვარად ფეხდაფეხ უნდა მიჰყვეს საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობას, უნდა გავითვალისწინოთ მათი გამოცდილებები. აუცილებელია ქვეყნებს შორის ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობის განვითარება, რაც რეალურად გააძლიერებს ქვეყნის ეკონომიკას, ძლიერი ეკონომიკა კი ძლიერი ქვეყნის საწინდარია.

დღეს მსოფლიოში არც ერთი ქვეყანა არ არის, რომელსაც სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის გარეშე შეუძლია ცხოვრება. ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობა თითოეულ მათგანს აძლევს საშუალებას შედარებით ნაკლები დანახარჯებითა და ნაკლები პრობლემებით დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებები. ძალზედ მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობა. მითუმეტეს თუ ქვეყანას ესაჭიროება ეკონომიკური წინსვლა. მნიშვნელოვანია გარდამავალ ეკონომიკაში მყოფი ქვეყნებისთვის სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობები. საქართველო კი მიეკუთნება გარდამავალ ეკონომიკათა რიცხვს და საქართველოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია განვითარებულ ქვეყნებთან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობა.

გარდამავალ ეკონომიკაში ერთ-ერთ გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია. პოლიტიკური სტაბილურობა არსებითია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისთვის, რომლებიც ინვესტიციებსა თუ კრედიტებს გამოყოფენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები გამოყოფენ თანხებს საქართველოსთვის ვაჭრობის, ექსპორტის, სოფლის მეურნეობის, ბიზნესის განვითარებისთვის. საქართველოსთან თანამშრომლობს საკმაოდ ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია მაგ: მსოფლიო ბანკი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, ევროპის ცენტრალური ბანკი, ევროპის სტატისტიკის სამსახური EUROSTAT, ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროპის საბჭოს წარმომადგენლობა საქართველოში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოცი-

ცია, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ევროპარლამენტი, ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში ევროკომისია.

თანამედროვე მსოფლიოს ერთ – ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა სამეურნეო ცხოვრების ყოველმხრივი ინტერნაციონალიზაცია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ფინანსურ ეკონომიკას და რომელიც ეროვნული მეურნეობის პარალელურად ფუნქციონირებს და ტონს აძლევს ამ უკანასკნელთა განვითარებას.

მსოფლიო ეკონომიკური კავშირების განვითარების (საგარეო ვაჭრობა, კაპიტალის გატანა, მეცნიერულ ტექნიკური გაცვლა) ბაზაზე მიმდინარეობს კაპიტალის საერთაშორისო შერწყმის მაშტაბების მნიშვნელოვანი ზრდა.

წარმოების და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციამ, ფინანსურმა ეკონომიკამ, ეროვნული მემკვიდრეობის კავშირურთიერთობათა მკვეთრმა განვითარებამ და საქმიანი კონიუქტურის მზარდმა ხასიათმა დღის წესრიგში დააყენა მსოფლიო მეურნეობის სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების შემდგომი ინტეგრაციის აუცილებლობა.

საქართველოსთვის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომელის მიზანი საგარეო გადასახადებში პრობლემებისა და სირთულეების მქონე ქვეყნებისთვის საკრედიტო დახმარების მექანიზმის დაწესებაა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფორმირებისას მისი ოფიციალური მიზნები ასე ჩამოყალიბდა: მუდმივი მექანიზმის შექმნის გზით ხელი შეუწყოს საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობას, საგარეო ვაჭრობის გაფართოებას და შეწონასწორებას, ფონდის წევრ – ქვეყნების შორის მიმდინარე ოპერაციების გადახდაზე მრავალმხრივი სისტემის შექმნას და სავალუტო შეზღუდულობის აღმოფხვრას, საჭიროებისას გასცეს მათზე სესხები უცხოურ ვალუტაში, აღმოფხვრას მათი საგადასახდელო ბალანსების წონასწორობის დარღვევათა ფაქტები და არ დაუშვას ვალუტათა კონკურენციული გაუფასურება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოწოდებულია მსოფლიოში საფინანსო–სავალუტო სტაბილურობის დასამყარებლად. ის წევრი სახელმწიფოების მხრიდან მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწვისა და შენარჩუნების მიზნით მკაცრ საფინანსო დისციპლინასა და სტაბილური სავალუტო კურსების უზრუნველყოფას მოითხოვს. ეს უკანასკნელი ამ ქვეყნების მხრიდან ისეთი ფულად–საკრედიტო პოლიტიკის გატარებით მიიღწევა, რომელიც ფასების დონით სტაბილურობასა და საგადასახდელო ბალანსის წონასწორობას უზრუნველყოფს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მხარდამჭერი პროგრამა დაიწყო 2008 წლის 15 სექტემბერს. პროგრამის საწყისი თანხა იყო 477.1 მილიონი ეს დე ერი (დაახლოებით 750 მილიონი აშშ დოლარი). 2009 წლის 6 აგვისტოს, პროგრამის ფარგლებში ხელმისაწვდომი ფინანსური პაკეტის ოდენობა გაიზარდა 747.1 მილიონ ეს დე ერ-ამდე (დაახლოებით 1.2 მილიარდი აშშ დოლარი) და პროგრამის ხანგრძლივობა გაგრძელდა 2011 წლის 14 ივნისამდე.

2010 წელს 97.3 მილიონი ეს დე ერი (ანუ დაახლოებით 150 მილიონი აშშ დოლარი) იქნა გამოყოფილი საქართველოსთვის.

თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდს მიზნად აქვს დასახული ქვეყნების მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა და შემდგომში მისი შენარჩუნება, რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის მიზანია მისი წევრი – ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, ცალკეული დარგების განვითარებაში ხელის შეწყობა.

როგორც ავღნიშნეთ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო საფინანსო, საკრედიტო ურთიერთობები. სახელმწიფო ვალი საგარეო და საშინაო ვალისგან შედგება. საგარეო ვალი მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალს მოიცავს, საშინაო კი სახაზინო და სხვა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს (სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის, სახელმწიფო ობლიგაცია სებ-ისთვის). სახელმწიფო ვალის სიდიდის განსაზღვრისთვის შემდეგი ინდიკატორები გამოიყენება: ვალის ბიუჯეტის შემოსავლებთან, ექსპორტთან და მშპ-სთან პროცენტული თანაფარდობა. ყველა ამ კრიტერიუმს თავისი ზღვარი აქვს და საბოლოოდ სამივე ერთად ქვეყნის ფისკალურ მდგომარეობას გვიჩვენებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ ინდიკატორებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ვალის ნომინალურ მშპ-სთან თანაფარდობის მაჩვენებელია. როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ არის ცნობილი, ვალის მდგრადობის შესანარჩუნებლად განვითარებული ქვეყნებისთვის ვალი მშპ-ის 60%-ს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისთვის – 50%-40%.

საქართველოს სახელმწიფო ვალის, ვალდებულებების ზრდა 2008 წლიდან 2011 წლამდე მუდმივი ვარიაციებით ხასიათდება. 2011 წელს აღებული ვალის ოდენობა 2010 წელთან შედარ-

ებით თითქმის ნახევრდება და ის 712 მლნ ლარით იკლებს. ამის მიზეზი კი საქართველო-რუსეთს შორის ომის შემდეგ ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა, რაც მშპ-ის ზრდის ტემპშიც გამოიხატა. 2008-2013 წლებში მშპ-ის ზრდამ მაქსიმუმს 2011 წელს – 7.2% მაჩვენებლით მიაღწია და შემდეგ ისევ კლება დაიწყო. ვალდებულებები 2012 წელს 2011 წელთან შედარებით იზრდება, ხოლო 2013 წელს მცირედით ისევ იკლებს. 2014 წელს 2013 წელთან შედარებით ბიუჯეტის გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების ოდენობა 2.2-ჯერ იზრდება და 1,636 მლნ ლარს აღწევს. 2014 წელს 2008, 2009, 2010, 2011 და 2012 წლებთან შედარებით გეგმით გასასტუმრებელი ვალის მოცულობა განსაკუთრებით დიდია – 598 მლნ ლარი; თუმცა 2014 წელს გეგმით ასაღები ვალის ოდენობა – 1,636 მლნ ლარი გასულ წლებთან შედარებით გაცილებით უფრო მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს.

საქართველოს განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარდამჭერი ორგანიზაციაა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), რომელიც დაკავებულია საქართველოში ბანკების მიზნობრივი დაკრედიტებით უკვე ათ წელზე მეტია. ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი საკუთარ რესურსებს მოიძიებს სწორედ ევროპული ქვეყნების სახელმწიფო ინსტიტუტებიდან და მის ინტერესს არ წარმოადგენს უშუალო მართვა მიიღოს დაკრედიტებული ორგანიზაციის მართვაში, არამედ იყოს მცირე ინვესტორის სტატუსით და მისი ჩართულობა იყოს რაც შეიძლება მცირე ამ ორგანიზაციის მართვის პროცესში. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს თუ რა ტიპის ინვესტიციებით არის ეს ბანკი დაკავებული; ამ ბანკის შექმნის მიზანი იყო საკერდიტო რესურსი გაეხადა ხელმისაწვდომი ისეთი ქვეყნებისთვის და ორგანიზაციებისთვის, რომელთათვისაც სხვა საკრედიტო რესურსი არ არის ხელმისაწვდომი. გამსაკუთრებული ნიშანი, რომელიც ამ ბანკს და მის მსგავს ორგანიზაციებს ახასიათებს, არის ის, რომ მათ მიერ გაცემული კრედიტები არის გრძელ ვადიანი და დაბალი საპროცენტო განაკვეთით და მასთან თანდართული საშეღავათო პერიოდებით. ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდამჭერია საქართველოში არსებული ბანკების და ის ახდენს თანხების ინვესტირებას სხვადასხვა ერთ-ერთი მათი ინტერესი არის საქართველოს რეგიონების დახმარება და ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს კრედიტორებს წარმოადგენენ სხვადასხვა რეგიონის განვითარების ბანკები. ამის ახსნა ფრიად მარტივია, ვინაიდან საქართველო წარმოადგენს საკმაოდ რისკიან ინვესტიციას ტრადიციული საინვესტიციო თუ კომერციული ბანკებისთვის. ასევე, გარდა რისკიანობისა, საქართველოს ბაზარს ესაჭიროება გრძელვადიანი ფინანსური რესურსები და შესაბამისად მსგავსი რესურსების მოძიება შეიძლება მხოლოდ განვითარების ბანკებიდან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან და აქედან გამოდინარე ის ფაქტი, რომ ქართული ბანკების ძრითად ფინანსურ წყაროს ამ ტიპის ორგანიზაციები შეადგენენ არ უნდა იყოს გასაკვირი.

თანამედროვე მსოფლიოს მრავალრიცხოვანი საერთაშორისო ორგანიზაციები გააჩნია, რომელთაგან იშვიათად თუ მოიძებნება ისეთები, რომლებსაც გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. საერთაშორისო ორგანიზაციების ერთ ნაწილს, რომელთაც მნიშვნელოვანი ფინანსური საშუალებები გააჩნიათ, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ ეკონომიკურ და ფინანსურ ურთიერთობებზე. აქედან გამომდინარე განვიხილე ზოგადად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სტრატეგიები, მიზნები. განვიხილე ორგანიზაციები, რომლებიც დასაქმებულია საკაცობრიო პრობლემებით, ორგანიზაციები, რომლებიც შექმნილია განვითარებული ქვეყნების მიერ საბაზრო ეკონომიკასთან კავშირში და ორგანიზაციები, რომლებიც დაკავშირებულია ევროპულ ინტეგრაციასთან.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობა, უცხოური კაპიტალი ასევე მნიშვნელოვანი რესურსია ქართული საბანკო სისტემისთვის, ვინაიდან ის წარმოადგენს პირველ რიგში კრედიტორების დივერსიფიცირების საშუალებას, ასევე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საპროცენტო განაკვეთზე, რომელსაც ბანკი იღებს. როგორც ყველა ქვეყანაში, საქართველოშიც ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზანია ეკონომიკისადმი დახმარება წარმოების საერთო დონის ამაღლებაში, რომელიც ხასიათდება სრული დასაქმებითა და ინფლაციის მინიმალური დონით.

დასკვნის სახით, მინდა აღვნიშნო, რომ დღესდღეობით საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, ინვესტორებთან ჯანსაღი ურთიერთობა, რითაც საქართველო მნიშვნელოვან სარგებელს ნახავს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სახელმძღვანელო – „საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები" - რევაზ კაკულია, ლელა ბახტაძე

2. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, www.ebrd.org, ინფორმაცია მიღებულია 11.12.2014

3.http://**www.imf.ge**/view2.php?lang=2&view=446 საერთაშორისო სავალუტო ფონდი 11.12.2014

4. www.mfa.gov.ge საგარეო საქმეთა სამინისტრო 11.10.2014

5. http://forbes.ge/news/300/saqarTvelos-saxelmwifo-vali-da-misi-zegavlena-ekonomikaze ინფორმაცია მიღებულია 25.05.2015 ფორბეს – ოფიციალური ვებ გვერდი „საქართველოს სახელმწიფო ვალი და მისი ზეგავლენა ეკონომიკაზე"

MEANING OF INTERNATIONAL FINANCIAL INSTITUTIONS FOR THE DEVELOPMENT OF GEORGIA

KETI DOREULI
PhD student of GTU
E-mail: keti_doreuli@yahoo.com
KETI SHONIA
Teacher of Akaki Tsereteli State University

Summary

An important factor for Georgia is the international financial institutions of economic, financial relations as the Georgia belongs to transition economies numbers.

One important factor in the transition countries is the economic and political situation in the country.

The political stability is essential for the international financial institutions, which allocate the investments or loan for the country's economic development.

The relation between the foreign financial institutions and Georgia is discussed in the Article.

Modern economic life is a part of the international economic and financial relations.

On the basis of International economic famous principles (economic cooperation, economic and trade freedom, monetary policy perfection) to achieve economic growth and raise living standards of the population.

The Georgian market needs a long-term financial resources and in accordance with this searching of such resources can be only development banks, international financial institutions.

Therefore I think it is important to review an international financial relations. In order to ensure the international economic order in the country relating to economic cooperation and freedom of behavior,they should followi to the activity of International Organizations step-by-step,we must foresee thier experiances. It is also necessary to develope the economic and financial relationship between the countries. It should actually strengthen the economy of country, a strong economy is a pre-requisite for the country.